სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 აპრილი, 2025 წ.

ბრძანება N 01-02/72

,,2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 მარტის №01-02/45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ -ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/104 ბრძანებით), „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/105 ბრძანების, „ბსუ- სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის №01-10/49 ბრძანების (ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის №01-10/118 ბრძანებით), ,,ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის N07-01/69 გადაწყვეტილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 15 აპრილის №415708 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 მარტის №01-02/45 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ში 2025 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტების შერჩევის მიზნით (საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის) და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) **სტუდენტთა განცხადებების** (სტუდენტური პროექტების) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა -
2025 წლის 20 მარტიდან 13 აპრილის ჩათვლით;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ **პროექტების შეფასება - 2025 წლის 14 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით;**

გ) სტუდენტური პროექტების შეფასების შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - **2025 წლის 28 აპრილის ჩათვლით;**

დ) გამარჯვებული სტუდენტური **პროექტების განხორციელების პერიოდი - 2025 წლის 01 მაისიდან 15 დეკემბრის ჩათვლით.".**

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**